

## ოქსანა კონიკი

უფროსი ლექტორი

ყირიმის ჰუმანიტარული უნივერსიტეტი

### მომავალი ფილოლოგიების პროფესიული მომზადების ბილინგვური ასპექტები

#### აბსტრაქტი

სტატიაში დასმულია ენის მომავალი მასწავლებელთა პროფესიული მომზადების პრობლემა. ავტორი განსაზღვრავს ბილინგვიზმის ფორმებს და განიხილავს მასწავლებლების მომზადების სისტემაზე მათი გავლენის საკითხს. ნაშრომში განმარტებულია ბილინგვური განათლების, როგორც ცნების, არსი, აგრეთვე, გაანალიზებულია ბილინგვური განათლების მოდელები და კონცეფციები.

*საკვანძო სიტყვები:* ბილინგვიზმის ფორმები; ბილინგვური განათლება; მასწავლებელთა პროფესიული მომზადება.

თანამედროვე სამყაროში ენები განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს ასრულებს. დღეს უცხო ენების ცოდნა ადამიანს უამრავ შესაძლებლობას აძლევს: ახალი ადამიანების გაცნობა და ახალი ქვეყნების მონახულება, თვალსაწიერის გაფართოება, სხვადასხვა ქვეყანას შორის ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული კავშირების გაბმა და გაძლიერება. თანამედროვე საზოგადოებისა და კულტურის ამ მახასიათებლებიდან გამომდინარე, მულტილინგვიზმი ყველაზე გავრცელებული ფორმაა. ბილინგვიზმი ნიშნავს ორი ენის ცოდნას, რომელთა თანმიმდევრული გამოყენება დამოკიდებულია შესაბამის სამეცნიერო კომუნიკაციურ გარემოზე [ვაინრაიხი, 1972, გვ. 25].

მეორე ენის დაუფლების მეთოდის მიხედვით არსებობს ბილინგვიზმის ორი სახე: ბუნებრივი და ხელოვნური ბილინგვიზმი. ბუნებრივი ბილინგვიზმის შემთხვევაში მეორე ენის დაუფლება ხდება ბუნებრივ გარემოში მშობლიური ენის პარალელურად (მაგალითად, დაპყრობის შედეგად, მიგრაციის შემთხვევაში, აგრეთვე მრავალენოვანი ჯგუფების მშვიდობიანი მეზობლობისას). ხელოვნური ბილინგვიზმი - ეს არის ორი ან მეტი ენის ორგანიზებული შესწავლა საგანმანათლებლო დაწესებულების ფარგლებში. მეოცე საუკუნის გადმოსახედიდან ბილინგვური განათლება განიხილება როგორც ევროპული ქვეყნების საგანმანათლებლო პოლიტიკის წამყვანი სფერო. ბევრ ქვეყანაში ბილინგვური განათლება დაინერგა სკოლებსა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. კონკრეტული ინტერესებიდან გამომდინარე, ბილინგვური განათლება განიხილება, მომავალი პროფესიონალების, მათ შორის უცხო ენების მასწავლებლების, მომზადების ძირითად კომპონენტად.

ხელოვნური ბილინგვიზმის შემთხვევაში არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ბილინგვიზმი არის მრავლისმომცველი ფენომენი და აერთიანებს ლინგვისტურ, კულტურულ, ფსიქოლოგიურ და სოციოლოგიურ მახასიათებლებს. უცხო ენების მასწავლებლის მომზადება მოიცავს ლინგვისტურ ფაქტორებს, იმდენად, რამდენადაც სპეციალისტს მოეთხოვება სულ მცირე ორი ენის - მშობლიური და უცხო ენების - ცოდნა. არ არის საკმარისი ერთი ან მეორე ენის მხოლოდ ფონეტიკური და გრამატიკული წესების, აგრეთვე ლექსიკის ცოდნა. საუბრის დროს ადამიანი, რომელიც ლაპარაკობს რამდენიმე ენაზე, არა მხოლოდ მონაწილეობს ინტერაქციაში, არამედ წარმოადგენს სხვადასხვა ენობრივ სამყაროს. ამიტომ, ბილინგვური განათლების ამოცანა უნდა იყოს პარტნიორი ქვეყნის კულტურის გაცნობა, ტოლერანტობის, სხვა ერების გაგების, მათი ტრადიციებისა და მახასიათებლების შეცნობის სურვილის გაღვივება. სხვადასხვა კულტურის წარდგენა არ არის ენის შემსწავლელისათვის მხოლოდ კულტურის შესახებ ცალკეული ფაქტების მიწოდება. ენის შემსწავლელს უნდა შეეძლოს ამ ცოდნის ადეკვატურად გამოყენება (მაგალითად, გერმანიაში, შვეიცარიაში, დიდ ბრიტანეთსა თუ ამერიკის შეერთებულ შტატებში კულტურული მახასიათებლების სათანადო გამოყენების უნარების გამომუშავება მაშინაც კი, თუ შემსწავლელი არ არის ნამყოფი ამა თუ იმ ქვეყანაში). ეს ნიშნავს იმას, რომ მომავალ ფილოლოგს უნდა შეეძლოს სხვადასხვა კულტურის თავისი წესების მიხედვით გამოყენება. არ უნდა დაგვავიწყდეს ასევე ის, რომ ბილინგვიზმი ავტომატურად არ გულისხმობს ბიკულტურალიზმს, რადგან ადამიანმა შეიძლება იცოდეს ორი ენა, რომლებიც ერთსა და იმავე კულტურას მიეკუთვნება. ყოველთვის არ არის აუცილებელი ბილინგვურმა განათლებამ წარმოადგინოს ბიკულტურალიზმი, ეს უმეტესად დამოკიდებულია ენის ინდივიდუალური შემსწავლელის მიზნებსა და ბილინგვური განათლების პოლიტიკაზე. ამდენად, დიდი ყურადღება უნდა მიექცეს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსს. მაგალითად, მაღალ კლასებში უნდა ისწავლებლობდეს ქვეყანათმცოდნობა, უნდა მოხდეს ენის ბუნებრივ მატარებლებთან შეხვედრა, უნდა მოეწყოს სხვადასხვა მრავალფეროვანი სემინარი, შეხვედრა, საღამო. კარგი იქნებოდა უნივერსიტეტში სხვა ქვეყნის წარმომადგენლის სამუშაოდ მოწვევა.

ბილინგვური განათლება უნდა გავიაზროთ, როგორც კულტურისა და უცხო ენის სამეტყველო აქტების მეშვეობით სამყაროს შეცნობის, განსაკუთრებული ცოდნის დაუფლების, სხვადასხვა ხალხის კულტურის, ისტორიული და სოციალური გამოცდილების შესწავლის მიზანმიმართული პროცესი.

ჩვენ წინაშე დგას შემდეგი საკითხი: რომელია უცხო ენის სწავლის ყველაზე ეფექტური გზა? - სახლსა და საკლასო გარემოში მხოლოდ უცხო ენის გამოყენება. ამ საკითხთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში არ არის მიღწეული ცალსახა მიდგომა. მკვლევრები ჯერ კიდევ დაობენ იმის შესახებ, უნდა გამოიყენებოდეს თუ არა მშობლიური ენა უცხო ენის სწავლებისას საკლასო გარემოში? ზოგს მიაჩნია, რომ მხოლოდ უცხო ენის გამოყენება სწავლების ადრეულ ეტაპზევე უწყობს ხელს უცხო ენის კომუნიკაციური კომპეტენციების ჩამოყალიბებას. მეორე მხრივ, ზოგი ემხრობა მშობლიური ენის გამოყენებას სასწავლო პროცესში. ენის გამოყენების ნაკლები შესაძლებლობები შეიძლება გახდეს შეცდომების, გაუგებრობის, ფაქტებისა და კულტურის

არასწორი ინტერპრეტაციის საფუძველი. ლინგვისტთა უმეტესობა ემხრობა იმ აზრს, რომ მეორე (უცხო) ენის ასიმილირების პროცესი მიმდინარეობს ეტაპობრივად და თითოეული ეტაპი მოიცავს მშობლიური და უცხო ენების სხვადასხვა პროპორციით გამოყენებას. მაგალითად, **საშინაო** ბილინგვური განათლების ერთ-ერთი კონცეპტი გულისხმობს ბილინგვური (ბიკულტურული) განათლების შემდეგ ნაბიჯებს ან მოდელებს:

- 1) სარეზერვო მოდელი (backup model): როგორც წესი, დაწყებითი განათლება უზრუნველყოფს ერთი და იმავე თემების მშობლიურ და უცხო ენებზე წარმოდგენას. ეს მოდელი ხელს უწყობს ლინგვისტური ინსტრუმენტების აკუმულირებას, რაც აზრის, თემის შინაარსის ადეკვატურად გადმოცემის საშუალებას იძლევა. ამ მოდელის მიხედვით, ინდივიდუალური შემსწავლელი აყალიბებს მყარ ასოციაციურ კავშირს შესასწავლ თემასა და ენობრივი საშუალებების ნაკრებს შორის.
- 2) დამატებითი მოდელი (additive model): ეს მოდელი გულისხმობს მასალის წარმოდგენას უცხო ენაზე, დამატებითი ინფორმაციის მიწოდება კი ნაწილობრივ ან მთლიანად ხდება შემსწავლელის მშობლიურ ენაზე. ზოგადად, დამატებითი ინფორმაცია ამოღებულია უცხო ენის წყაროებიდან და, როგორც წესი, არის მასწავლებლის მიერ მოწოდებული მოთხრობა, ნაბეჭდი ტექსტი ან სპეციალური დიდაქტიკური მასალა (კინოფილმები, აუდიოსაშუალებები და ა. შ.). ძირითადი და დამატებითი მასალის შედარება და განხილვა მიმდინარეობს როგორც მშობლიურ, ისე უცხო ენებზე.
- 3) პარიტეტული მოდელი: ეს მოდელი გულისხმობს საგნის ახსნის პროცესში მშობლიური და უცხო ენების თანაბარ გამოყენებას. ამ მოდელის ფუნქციონირების აუცილებელი პირობაა შემსწავლელის მაღალი ენობრივი კომპეტენცია. ეს გულისხმობს ტექნიკური ტერმინების, ტექნიკური საშუალებების, შინაარსობრივი ნიუანსების (განსაკუთრებით ტექნიკური ტერმინების) ცოდნას.
- 4) ჩანაცვლებითი მოდელი: (displacing model) უცხო ენა თამაშობს დომინანტურ როლს საგნის შინაარსის შესწავლისას. ამ მოდელის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ ბილინგვური განათლების მაღალ საფეხურზე, ენის შემსწავლელი კარგად უნდა ფლობდეს ენას, რათა დაამყაროს კომუნიკაცია და ღრმად ჩაწვდეს საგნის შინაარსს. ამ მოდელის დანერგვა შესაძლებელია ისეთი აქტივობებისა და მათოდების გამოყენების შემთხვევაში, როგორებიცაა: დისკუსია, დებატები, პროექტების განხორციელება და ა. შ.

როგორც ვხედავთ, უცხო ენის სწავლების პირველ-ორ ეტაპზე წამყვან როლს თამაშობს მშობლიური ენა (აზროვნების ენა). ეს ნიშნავს იმას, რომ ბილინგვალი ამ ეტაპებზე კარგად ვერ ფლობს მეორე ენის სისტემას, ამიტომ აქტიურდება მშობლიური ენის იგივე მექანიზმები. სწავლის შემდეგ საფეხურებზე უცხო ენისა და მშობლიური ენის უნარები უთანაბრდება ერთმანეთს, რადგან ბილინგვალი კარგად ფლობს ორივე ენის სისტემებს. ნათელია, რომ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში უცხო ენის სწავლებისას უნდა გამოიყენებოდეს სწავლების პარიტეტული და პრიორიტეტული მოდელები.

გარდა ამისა, ბილინგვური განათლება არის არა მხოლოდ სტუდენტებისათვის, არამედ მასწავლებლებისთვისაც. ბილინგვური განათლების კონცეპტის წარმატებული დანარგვისათვის მნიშვნელოვანია იმ პროფესიონალების მომზადება, რომლებსაც, ჩვენი აზრით, უნდა ჰქონდეთ მრავალმხრივი კომპეტენცია. მასწავლებლების კომპეტენცია უნდა მოიცავდეს არა მხოლოდ საგნისა და ენის ცოდნას, არამედ ისინი უნდა ფლობდნენ ზოგად პედაგოგიკურ (დიდაქტიკურ, კომუნიკაციურ, ორგანიზაციულ უნარებს) კომპეტენციას, რაც ხშირად არ არის სათანადოდ შეფასებული. მასწავლებელს უნდა შეეძლოს საგნის შინაარსის უცხო ენაზე ადაპტირება ნაციონალური საგანმანათლებლო კულტურის სპეციფიკის გათვალისწინებით. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ამგვარი მრავალმხრივი კომპეტენციის მქონე ექსპერტები უნდა მუშაობდნენ.

უდავოა, იმისათვის, რომ ბილინგვური განათლება იყოს ეფექტური, ის უნდა დაინერგოს არა მხოლოდ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, არამედ სკოლებსა და საბავშვო ბაღებშიც. უფრო მეტიც, ბილინგვური განათლებისას მხედველობაში უნდა მივიღოთ შემდეგი ორგანიზაციული დიდაქტიკური მახასიათებლები: 1) სწავლების ენის არჩევანი; 2) საგანმანათლებლო პროგრამების შინაარსის ოპტიმალური შერჩევა; 3) მასწავლებლების გაწევრიანება ეთნიკურ ან რელიგიურ ენობრივ და კულტურულ ჯგუფებში და სხვ. ამ პოლიტიკით ბილინგვურ განათლებას შეუძლია სტუდენტების პერსპექტივის გაფართოება, მათი ინტელექტუალური განვითარების ხელშეწყობა და უცხო ენებში გაწაფვა. ეს ნიშნავს ენის შესწავლას კულტურის, ისტორიისა და სოციალური ასპექტების გათვალისწინებით. გარდა ზემოაღნიშნულისა, უცხო ენა იქნება საგანმანათლებლო ღირებულება, რომელიც გაზრდის შემსწავლელის საგანმანათლებლო და პროფესიულ შესაძლებლობებს, მათ შორის, საფუძველს ჩაუყრის უცხო ენის მასწავლებლების მომავალს.

## წყაროები:

1. Weinreich U. Monolingualism and multilingualism / U. Weinreich // *New in Linguistics*. - Moscow, 1972. - Issue. 6: Language contacts. - S. 25-60.
2. Shirin A. G. Didactic and methodological aspects of the process of Bilingual Education /A.G.Shirin. - *Bulletin of the NovgorodState University*. - 2005. - № 31. - S. 63-66